სასწავლო კურსის სახელწოდება	**სვანური ენის გრამატიკა** **The Grammar of the Svan Language**
ავტორი (ავტორები)	ასოცირებული პროფესორი **ქეთევან მარგიანი**
ლექტორი (ლექტორები)	ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ტელ.: 2 22-03-51 (სამსახური), 2 95-68-01 (სახლი); 595 767833; ketevan_margiani@mail.ru ketevan.margiani@tsu.ge
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსი
სასწავლო კურსის მიზანი	სვანური ენის გრამატიკის მიმოხილვითი კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს სვანური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო საკითხები.
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	5 კრედიტი სალექციო – 30 სთ სამუშაო ჯგუფი – 30 (მათ შორის შუალედური გამოცდისთვის – 2 სთ – თითი საათი შუალედური გამოცდისთვის) შუალედური გამოცდებისთვის მომზადება – 4-4 სთ (სულ 8) საბოლოო გამოცდისთვის მომზადება – 9 სთ. საბოლოო გამოცდის ჩაბარება – 3 სთ. ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 45 სთ. სულ - 125 სთ.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	წინაპირობის გარეშე
სწავლის შედეგები	ა) **ცოდნა და გაცნობიერება.** სტუდენტმა იცის: სვანური ენის ბგერითი შედგენილობა, ხმავანთა და თანხმოვანთა სისტემები; სახელთა ბრუნების თავისებურებენი სვანურში; სვანური ზმნის თავისებურებანი; სვანური ლექსიკის თავისებურებანი და სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ამ საკითხთა ფართო ცოდნა მოიცავს აგრეთვე ამ სფეროსთან დაკავშირებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას. ბ) **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.** სტუდენტს შეუძლია მოსმენილ კურსთან დაკავშირებულ პრობლემათა გადასაჭრელად გარკვეული მეთოდების გამოყენება. ასევე მას შეუძლია როგორც კვლევითი, ასევე პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კვლევით პროექტებში იგულისხმება მიღებული ცოდნის შედეგად სვანურ ენობრივ ნიმუშთა, ტექსტების ანალიზი, ხოლო პრაქტიკულ პროექტებში – სტუდენტის შესაძლებლობები დაინტერესებულ პირებსა, თუ ორგანიზაციებს მიაწოდოს რეკომენდაციები აღნიშნული სფეროდან გამომდინარე პრობლემატურ საკითხებზე. გ) **დასკვნის უნარი.** სტუდენტს შეუძლია სვანური მეტყველების ნიმუშების

	შეგროვება და მათი შემდგომი დამუშავება. ახერხებს განყენებული მონაცემების ანალიზს შესაბამისი მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას. დ)**კომუნიკაციის უნარი.** სტუდენტს აღნიშნული კურსის მოსმენის შემდეგ შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენებით სვანური ენის საკითხებთან დაკავშირებით დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა. ე)**სწავლის უნარი**. სვანური ენის ცოდნით, ერთი მხრივ, და თანამედროვე საენათმეცნიერო მეთოდების ცოდნით, მეორე მხრივ, სტუდენტს გამომუშავებული აქვს სწავლის პროცესის თანამიმდევრულობა და მრავალმხრივობა, რაც განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას სწავლის გაგრძელებისთვის.
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი
სწავლების/სწავლის მეთოდები	სწავლების პროცესში ვიყენებთ შემდეგ მეთოდებს: 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. 2. წიგნზე მუშაობის მეთოდი. 3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება, და ა.შ. 4. პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად შეასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პედაგოგიურ პრაქტიკას, საველე მუშაობას და სხვ. ფორმატი -ლექცია, სემინარი
შეფასების კრიტერიუმები	**საგანში სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:** • დასწრება (ლექციასა და სემინარზე), აქტიურობა – 10 • შუალედური გამოცდა (კოლოკვიუმი) – 30 ქულა (2×15=30). • წერითი ნამუშვარი (რაფერატი/პრეზენტაცია) – 20 • საბოლოო გამოცდა – 40 ქულა. **კრედიტის მინიჭების პირობა:** კონკრეტული სასწავლო კურსის გავ-ლის შემთხვევაში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა მაგისტრანტის მიერ 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება. ეს პრინციპი საერ-თოა მთელი უნივერსიტეტისათვის; 41-დან 51-მდე ქულათა დაგრო-ვების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა საბოლოო გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება. 41 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში კი მან ახლიდან უნდა მოიმინოს კურსი. მაგისტრანტს სემესტრის განმავლობაში შუალედურ შეფასებებში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 11 ქულისა, რათა დაშვებულ იქნას საბოლოო გამოცდაზე, გამოცდა კი ჩაბარებულად ჩაეთვლება, თუ მიიღებს არანალკებ 20 ქულას (40-დან). **სტუდენტი ფასდება შემდეგი სისტემით:** 91 – 100 ფრიადი (A) 81 – 90 ძალიან კარგი (B) 71 – 80 კარგი (C) 61 – 70 დამაკმაყოფილებელი (D)

	51 – 60 საკმარისი (E) 41 – 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება (FX) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი (F).	
	დასწრება (ლექციაზე დასწრება - 5; სემინარზე დასწრება - 5)	10%
	კოლოკვიუმი (15+ 15) კოლოკვიუმის დროს სტუდენტს ევალება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება. ცოდნის შემოწმება ხდება წერილობითი დავალებების მიცემით. შეფასების კრიტერიუმები: **1.** 13-15 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. **2.** 10-12 ქულა: პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. **3.** 7-9 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები. **4.** 4-6 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. **5.** 1-3 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმნენტები. **6.** 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.	30%
	პრეზენტაცია სტუდენტს მოეთხოვება ერთი საპრეზენტაციო თემის მომზადება და წარდგენა ჯგუფში - 20 ქულა 1. ფორმალური მხარე (ფორმატი), რომლშიც იგულისხმება რეგლამენტის დაცვა, გაფორმების ვიზუალური მხარე და სხვ. - 5 შეფასების კრიტერიუმები 1. 4-5 ქულა - რეგლამენტი დაცულია და თვალსაჩინოებისთვის გამოყენებულია Power Point პრეზენტაცია და ამობეჭდილი მასალა. 2. 2-3 ქულა - რეგლამენტი დაცულია და თვალსაჩინოებისთვის	20%

	გამოყენებულია მხოლოდ ამობეჭდილი მასალა. 3. 1 ქულა - რეგლამენტი დაცულია და თვალსაჩინოებისათვისაც არ არის გამოყენებული გამოყენებულია არანაირი ვიზუალური საშუალება. 4. 0 ქულა - პრეზენტაცია თემის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა წარმოდგენილი. 2. შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, მსჯელობის სისწორე და ლოგიკურობა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგების გაანალიზება, არგუმენტირებული დასაბუთება და სხვ. - 15	
	საბოლოო წერილობითი გამოცდა. ბილეთში შედის 4 საკითხი: ორი თეორიული, ორი - პრაქტიკული; თითოეულს მინიჭებული აქვს 10-10 ქულა; შეფასების კრიტერიუმები: 1. **9-10/17-20 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. 2. **7-8/13-16 ქულა:** პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. 3. **5-6/9-12 ქულა:** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები. 4. **3-4/5-8 ქულა:** პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 5. **1-2/1-4 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. 100 ქულა წარმოადგენს ბაკალავრის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება. 41-დან 51-მდე ქულათა დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება. 41 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში კი მან თავიდან უნდა მოისმინოს კურსი.	40%

	სემესტრის განმავლობაში შუალედურ შეფასებებში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 11 ქულისა, რათა დაშვებულ იქნას საბოლოო გამოცდაზე, გამოცდა კი ჩაბარებულად ჩაეთვლება, თუ მიიღებს არანალკებ 20 ქულას (40-დან).	
	საბოლოო შეფასება	100%
სავალდებულო ლიტერატურა	1. ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008; 2. ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; 3. ალ. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998; 4. მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, 1949; 5. ქ. მარგიანი-სუბარი, ევიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში, თბ., 2012;	
დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	*1. ვ. თოფურია, შრომები, თბ., I, 1967, II, 2002, III, 1979;* *2. ვ. თოფურია, II, თბ., 2002;* *3. ა. შანიძე, შრომები, თბ., 1981;* *4. თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000* *5. ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949;* *6. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, ბ., 1949, მე-2 გამ. 1992;* *7. ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი (შემდგენ-ლები: რამაზ ქურდაძე, დოდო შონია, ლილე თანდილავა, ლელა ნიჟარაძე), გამომცემლობა "პეტიტი", თბილისი, 2015;* *9. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965;* *10. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000;* *11. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990; მე-2 გამ. 2000;* *12. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.* *13. არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში. თსუ შრომები, XVIII, 1941;* *14. ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრებ. ენიმკის მოამბე, XII, 1942;* *15. კ. დონდუა, ადიღეური ტიპის მოთხობითი ბრუნვა სვანურში. რჩეული ნაშრომები, I, 1967;* *16. გ. მაჭავარიანი, ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში, თსუ, შრომები, 93, 1960;* *17. ზ.ჭუმბურიძე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964.* *18. მ. ქალდანი სახელობითი ბრუნვისა და მრ. რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში, ქესს, IV, 1974;* *19. ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა (ბალსზემოური კილო), თბ., 2003.* *20. ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998;* *21. ი. ჩანტლაძე, ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, თბ., 2012* *21. ი. ჩანტლაძე, სვანური ენის შესწავლის ისტორია (სახელთა პარადიგმატიკა), თბილისი, 2016;* *22. თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII, თბ., 1955;* *23. თ. შარაძენიძე, უ-ინიანი მიცემითის გამოყენება ფუძედ დანარჩენ*	

	ბრუნვათათვის, ქესს, II, თბ., 1961; *24. თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით, იკე, IV, თბ., 1954;* *25. თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957;* *26. Марр Н.Я., Где сохранилось сванское склонение , ИИАН, С–Петербург, 1911;* *27. Дондуа К.Д., Категория инклюзива- эксклюзива в сванском и ее следы в древне- грузинском, რჩეული შრომები, I, თბილისი, 1967.* *28. ა. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, №1, თბ., 1965* *29. ა. ონიანი, ქართველურ ენათ ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978;* *30. ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986;* *31. ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბ. 2008-2009;* *32. ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, თბ., 1946;* *33. ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964;* *34. დ. მელიქიშვილი; ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, საქართველოს მეცნ. აკადემიის მაცნე, #4, თბ., 1977.* 35. *თ. შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იკე, I, თბილისი, 1946*
დამატებითი ინფორმაცია/ პირობები	აღნიშნული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტ. მეცნ.-თა ფაკ.-ის ქართული ენის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

დანართი

სასწავლო კურსის შინაარსი

№	**ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის/ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. თემა** ლექცია 2 სთ., სემინარი -პრაქტიკული მეცადინეობა 2 სთ.	**ლიტერატურა** **(შესაბამისი გვერდების მითითებით)**
1-ლი კვირა	**ლექ.**: სვანური ენის გრამატიკული ანალიზი (ზოგადი ცნობები); სვანური ენა როგორც ქართველურ ენათა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. სვანური ენის შესწავლის ისტორია (მოკლედ). ენა და დიალექტი. ენა-კილოთა დემარკაცია; სვანურ დიალექტთა რაოდენობა და მათი გავრცელების არეალი. მოსაზრება სვანური ენის ნარევობის შესახებ; ე. წ. „ინტერ-დიალექტური“ ენა (ძველი სვანური ხალხური სიმღერები). **პრაქ.**: მსჯელობა სალექციო თემებზე.	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 9-14; 97-92; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ. 7-57; ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998, გვ. 3-9; ი. ჩანტლაძე, სვანური ენის შესწავლის ისტორია, თბ., 2007, გვ. 5-30; *ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, თბ., 1946;*
მე-2 კვირა	**ლექ.**: მორფოლოგია. არსებითი სახელი. ჯგუფები შინაარსის მიხედვით (ქონების, უქონლობის, კნინობითი სახელები). კომპოზიტები. რიცხვის გრამატიკული კატეგორია.	ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ. 57-81; ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 93-96; *თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი*

	პრაქ.: მსჯელობა სალექციო თემებზე	*რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით, იკე, IV, თბ., 1954;*
მე-3 კვირა	**ლექ.**: არსებითი სახელის ბრუნება; ბრუნვები, ბრუნვის ნიშნები და ბრუნვათა ფუნქციები; ბრუნების ტიპები გენეზისისა (ოთხი სისტემა) და წარმოების მიხედვით; **პრაქ.:** მსჯელობა სალექციო თემებზე.	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 24-30; 97-98; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ. 81-100; *თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII, თბ., 1955;* *კ. დონდუა, ადირეული ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში, რჩეული შრომები, I, თბ. 1967;* *ი. ჩანტლაძე, სვანური ენის შესწავლის ისტორია, თბ., 2007, გვ. 36-48;* *ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბ., 2008-2009, გვ. 18-39;*
მე-4 კვირა	**ლექ.:** ზედსართავი სახელი. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავები; ხარისხთა წარმოება; ხარისხის ე. წ. გაქვავებული ფორმები; ხარისხის ფორმათა ზმნური წარმომავლობა. **პრაქ.:** მსჯელობა სალექციო თემებზე, ტექსტზე მუშაობა.	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 30-33; 129-133; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ. 100-110; *ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბ., 2008-2009, გვ. 40-57;* *თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.*
მე-5 კვირა	**ლექ.**: რიცხვითი სახელი (რაოდენობითი და რიგობითი); თვლის ათობითი და ოცობითი სისტემები; რიცხვითი სახელის ბრუნება. **პრაქ.**: მსჯელობა სალექციო თემებზე, ტექსტზე მუშაობა.	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 34-35; 116-119; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ. 110-120;
მე-6 კვირა	**ლექ.**: ნაცვალსახელთა ჯგუფები; კუთვნილებითი ნაცვალსახელების ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები; ნაცვალსახელთა ბრუნება. **პრაქ.**: კოლოკვიუმი №1	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 35-37; 99-100; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ. 121-132; *ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964;*

მე-7 კვირა	**ლექ.**: ზმნა; პირისა და რიცხვის კატეგორია; სუბიექტური და ობიექტური წყობა; დამხმარე ზმნები; **პრაქ.**: მსჯელობა სალექციო თემებზე, წერითი ნამუშევრების ანალიზი **შუალედური გამოცდა**	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 38-44; 101-102; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ. 133-148; ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998, გვ. 111-146;
მე-8 კვირა	**ლექ.**: ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია. **პრაქ.**: მსჯელობა სალექციო თემებზე, ტექსტზე მუშაობა.	ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998, გვ. 146-150; *დ. მელიქიშვილი; ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, საქართველოს მეცნ. აკადემიის მაცნე, #4, თბ., 1977.* *ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბ., 2008-2009, გვ. 58-64;* *ა. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნ. აკადემიის მაცნე, #1, თბ., 1965.*
მე-9 კვირა	**ლექ.**: ზმნათა კლასიფიკაცია; პრევერბთა ფუნქცია. ძირითადი პრევერბები და ე. წ. „წინდებულ-თანდებულები“; დრო, ასპექტი; **პრაქ.:** მსჯელობა სალექციო თემებზე, ტექსტზე მუშაობა.	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 41-43; 120-123; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ.149-154;
მე-10 კვირა	**ლექ.**: ქცევა; ევიდენციალობა; სერიები და მწკრივები; I სერია; ქართულისგან განსხვავებული მწკრივები სვანურში. **პრაქ.:** მსჯელობა სალექციო თემებზე, ტექსტზე მუშაობა.	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 44-47; 52-55; 124-128; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; გვ.155-158; ქ. მარგიანი-სუბარი, ევიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში, თბ., 2012, გვ. 15-26; 39-50;
მე-11 კვირა	**ლექ.**: საკუთრივ ინფერენციული მწკრივები; კაუზატივის კატეგორია; **პრაქ.:** მსჯელობა სალექციო თემებზე, ტექსტზე	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 138-141; ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998, გვ. 248-254;

	მუშაობა.	ქ. მარგიანი-სუბარი, ევიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში, თბ., 2012, გვ. 108-148;
მე-12 კვირა	**ლექ.:** სერიები და მწკრივები. სტატიკური ზმნები; III სერია, I შედეგობითის მორფოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი. **პრაქ.:** მსჯელობა სალექციო თემებზე, ტექსტზე მუშაობა.	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 64-68; ქ. მარგიანი-სუბარი, ევიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში, თბ., 2012, გვ. 50-78; 148-163; *ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა, თბ., 2003, გვ. 28-29;*
მე-13 კვირა	**ლექ.:** სინტაქსი; წინადადების ტიპები; სიტყვათა შეკავშირება; მარტივი წინადადების წევრები. **პრაქ.:** კოლოკვიუმი #2	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 78-85; 174-176;
მე-14 კვირა	**ლექ.:** სხვათა სიტყვა და „-მცა“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები; რთული წინადადება; ჰიპოტასური კონსტრუქციის სპეციფიკა სვანურში; **პრაქ.:** მსჯელობა სალექციო თემებზე, წერითი ნამუშევრების ანალიზი შუალედური გამოცდა	ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 148-152; ქ. მარგიანი-სუბარი, ევიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში, თბ., 2012, გვ. 79-108;
მე-15 კვირა	**ლექ.–პრაქ.:** შემაჯამებელი მუშაობა	